ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3801849

ნომერი: AR1572463

თარიღი : 24.01.2018

გაცემის თარიღი : 01.02.2018

გაცნობის თარიღი : 03.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 4 , ჩაჩავას ქუჩა N1 , ლუბლიანას ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლერი მსხვილიძე პ/ნ 09001002090
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 111 კორ. 3 ბ. 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ვინაიდან იგივე საკითხზე AR1567841 განცხადების განხილვის შედეგად ატვირთული დოკუმენტაციის საფუძველზე პასუხად გეცნობათ, რომ თქვენ მიერ მითითებული ობიექტი (10კვ. ძაბვის გამანაწილებელი სატრანსფორმატორო ქვესადგური) (თქვენს მიერ ანალოგიური დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო სხვა ფუნქციის შენობა-ნაგებობის განთავება) არ ექცევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლით განსაზღვრულ I კლასის შენობა-ნაგებობების მახასიათებლებში.

ამავე დადგენილების 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, III კლასს განეკუთვნება: ელექტროქვესადგური 35 კ.ვოლტი და 110 კ.ვოლტი; III (ჰიდროელექტროსადგური 1000 კვტ-დან 10 000 კვტ-მდე, ქარის ელექტროსადგური) და IV კატეგორიის (ჰიდროელექტროსადგური 50 კვტ-დან 1000 კვტ-მდე, გეოთერმული ელექტროსადგური) ელექტროსადგურები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურის პოზიცია თქვენს საკითხთან დაკავშირებით უცვლელია (მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მოთხოვნის ტექსტში მითითებულია სასაწყობე შენობა, თუმცა ვიზუალით წარმოდგენილია ისევ იგივე ფოტომონტაჟები) და რადგანაც საპროექტო ობიექტის მახასიათებლები სცდება I კლასის მახასიათებლებს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენ მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.